

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენა განაპირობა 2006 წელს საქართველოში ჩატარებულმა თვითმმართველობის სისტემის რეფორმამ, რომელიც განხორციელდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 2005 წლის 13 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე. როგორც ცნობილია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონმა მთლიანად შეცვალა საქართველოში არსებული თვითმმართველობისა და მმართველობის სისტემა და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა თვითმმართველობის ახალი ინსტიტუტი. ახალი კანონით გაუქმდა ადგილობრივი მმართველობა, შეიცვალა რაიონებისა და ქალაქების სამართლებრივი სტატუსი. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მოითხოვს მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების განხორციელებას, მათ შორის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონშიც. კანონპროექტის მიღების მიზეზია აგრეთვე ხსენებული კანონის სხვადასხვა მუხლებში ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, როგორც იურიდიული ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით დახვეწა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის არსი

პროექტით ცვლილებები შედის კანონის მე-4–მე-9, მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16, მე-19, 21-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე და 30-ე მუხლებში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირობებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გ.გ) კანონპროექტის ავტორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი პეტრე ზამბახიძე.

გ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული აჭარა“.